წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] ბულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათ შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.**

№ 469 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 469

## ქალაქის თეატრი

**ხუთშაბათს, 27 და პარასკევს, 28 ოქტომბერს გაიმართება პირველად ქუთაისში ცნობილი**

## დიდი საჯარო ქართული სიტყვა-მუსიკობა — კ. ფოცხვერაშვილისა

**სიტყვის თემა:** „ქართული ხალხური სიმღერა-გალობა და მისი ჰარმონია—კონტრაპუნკტი".
**სამუსიკო განყოფილებაში:** საუკეთესო მომღერალ-დამკვრელთაგან შესრულებული იქნება მრავალი ახალი ქართული სიმღერა-ჰიმნ-საგალობელნი.
გარჩეული იქნება თემატიურად და შესრულდება როიალზე პირველი ქართული **სიმფონიური პოემა „თქმულება ამირანზე"** კ. ფოცხვერაშვილისა.
**ცალკე აფიშები არ გამოვა.**

თვითონ ფოცხვერაშვილი საილიუსტრაციო ნიმუშთა შორის შეასრულებს სიმღერით და დაკვრით თორმეტ სხვადასხვა ერთა კილოებს; იტყვის ქართულ ხმებს: **„ჩონგურულს", „მესტვირულს", „ლილის", „მეფხის ტყაოსნის შაირს"** და წაიკითხავს (გალობით) ქართულ სახარებას.
ბილეთები იყიდება მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზებში.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

---

შაბათს 22 ოქტომბერს გარდაიცვალა

### კნეინა სოფიო დადიანის ასული

### აფაქიძისა

რასაც მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს ქმარი განსვენებულისა თავ. ანტონ ტოტოს ძე აფაქიძე და ძმები ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ნიკოლოზი და ლევან კონსტანტინეს ძენი დადიანები. დაკრძალვა მოხდება 29 ამა ოქტომბერს დილით შაბათს სოფ. ზანას (ზუგდ. მაზრა) თავად აფაქიძეთა საგვარეულო ეკლესიის გალავანში.

---

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: **ალექსანდრე, მელქისედექ, რაჟდენი, ბაბილინა, ფედოსი, ნინა და ოლღა, ძმები: ლევან, სამსონ და დავით** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 27 ამა თვეს სოფელ საჭილაოში ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში დილის 12 საათზე გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მღვდელის

### ლუკა (ფარნაოზ) გრიგოლიას

სულის მოსახსენებლად.

---

## განცხადება.

**1 ოქტომბრიდან გაიხსნა** ჭრა-კერვის კურსები **კატო ალიხანაშვილისა.**

კურსი არის ერთ წლიანი, მოსწავლე ქალები ერთი წლის შემდეგ მიიღებენ შესაფერ ატესტატს სახელმწიფო უფლებით. მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება და ჩაწერა დადიანის ქუჩაზე, პატარიძის სახლში ალიხანაშვილთან.

---

**დაიბეჭდა** ბ. დ. **უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო"** პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა" და ბ. კ. ციფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

---

ქუთაისის **პირველი** უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ სასწავლებელთან არსებულ

### პედაგოგიურს კურსებზე,

ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს, მიღებული იქნებიან აგრეთვე **ქალებიც,** რომლებსაც გაუთავებიათ არა ნაკლებ ოთხი კლასისა. ვინც ამ კურსებს დაასრულებს მიეცემათ **მოწმობა** სახალხო სკოლების მასწავლებლობისა. კურსები ორ წლიანია. მეორე კურსზე მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია. მსმენელებმა თხოვნები და საჭირო საბუთები თვითონ უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე, სასწავლებლის კანცელარიაში დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 2 საათზე.

---

**ექიმი ი. ჩარექიშვილი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი: ლეჟავაშვილის ქუჩა, ალიპეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკერია** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი სენებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს.

---

## გაზ. „სამშობლოს" კანტორა

### აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ,

რომ ვისაც ამ წლის ბოლომდე სრულიად არა აქვს ხვედრი ფული შემოტანილი 1 ნოემბრიდან აუცილებლათ შეუწყდებათ გაზეთის გზავნა.

---

## ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 24 ოქტომბრიდან 1916 წ. ნამდვილი შედევრი

### ადამიანთა უფსკრული

დრამა 5 ნაწილად საიმპერატორო თეატრის მსახიობთა ვ. ა. პოლონსკის, ა. ი. შელენიიკოვის და სხვათა მონაწილეობით. დადგმულია ბაუერის მიერ.

### ცხოველთა სამეფო

**ანონსი:** 27 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა ქრონიკა ჟურნალი მიმდინარე ამბებიდან

**სხვისი ცოდვებისათვის** ძლიერი დრამა 4 ნაწილად ეპილოგით მსახიობ ქალის თინა ფაბრის მონაწ.

დააწუნარეს დედამთილი

კომიკური.

---

## ელექტრო „ამპირ" თეატრი

ორშაბათიდან 24 ოქტომბრიდან 1916 წ. დიდებული სურათი რუსთა ცხოვრებიდან 2 ნაწილად

პირველი სერია

### ქორის ბუდე

დიდათ საინტერესო დრამა 4 ნაწილათ **ა. ვ. პაჟუხინის** ცნობილ რომანიდან ცნობილ მსახიობთა ლისენკოს, კარემანოვის, რილსკის, პანოვის და სხვათა მონაწილეობით

მიმიკრია მწერთა შორის

**ანონსი:** 27 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა ქრონიკა ჟურნალი მიმდინარე ამბებიდან

ქება სიგიჟეს — კინო დრამა 5 ნაწილად ცნობილ არტისტების მარიამ რუტცის და ნ. წერეთლის მონაწილეობით

---

## საჭიროა ხელოსნები

სახელდობრ: ხარაზები, მჭედლები, დურგლები, მეუნაგრენი, თერძები ჯ სხვა ასეთნი იმ სახელოსნოებისათვის, რომელთაც აწყობს

## კავკასიის ფრონტზე

### მოსკოვის ოლქის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი.

სამსახურში მიიღებიან ვინც ჯერ კიდევ ჯარში არ გაუწვევიათ; ჩასაწერად და ყოველგვარი ცნობების გასაცნობად მსურველს შეუძლია მიმართოს მეგობრის რედაქციაში და სახელოსნო ბანკში. აგრეთვე მიმართვა შეიძლება თბილისში **მთავარ რწმუნებულის კანცელარიაში** (სასახლის ქუჩა, № 5, თავად-აზნაურობის ქარვასლაში.

---

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 25 ოქტომბერი. ბროდის დასავლეთით გოლოსკოვიცე-დუბეს-თან მტრის 50 კაცისაგან და 200 კაცისაგან შემდგარი მზვერავი რაზმები მხნედ მოქმედებდნენ- კირლი-ბაბას აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის საპიორებმა მუშაობა სცადეს; ერთმა ჩვენმა ბატალიონმა შეუტია მტერს რომელიც ჩვენ პოზიციების წინ შეჩერდა, გაშლილ ადგილზე წინ წამოაყენეს ორი ზარბაზანი და ჩვენ შესაჩერებლად სროლა აგვიტეხეს; ზარბაზნები დავაზიანეთ, მტერი განვდევნეთ, ფეხდაფეხ მივსდიეთ და მის სანგრებში შევიჭერით. იქ დავატყვევეთ 100 მეტი კაცი, მათში აფიცრებიცაა. ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიის მფრქვეველი და 1 ყუმბარის მტყორცნელი. დორნა ვატრის სამხრეთით მდინარეების ბოროკკისა ჯ პუტნას ველებზე ჩვენ კვლავ მარჯვედ ვმოქმედებთ. აქ ხელთ ვიგდეთ ტყვეთ 15 აფიცერი და 800 ჯარის კაცი და 7 ტყვიის მფრქვეველი,

**კავკასიის ასპარეზი.**

კილიკიტას დასავლეთით მდებარე სოფ. ამიური ავიღეთ და ოსმალები განვდევნეთ ბიჯარის მიმართულებით ოსმალების წინსვლა შევაჩერეთ.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 24 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალი. ღამის განმავლობაში სომმას ჩრდილოეთით სენ პიერ ვაასტის ტყის ჩრდილოეთ ნაწილში ჩვენ წინსვლას განვაგრძობდით. გუშინდლამდე აქ 600 კაცამდე დავატყვევეთ. გუშინ სენპიერ ვაასტთან გერმანელები დიდად დაზარალებულან. ვერდენთან დოუმონ ვო-დონლუს ახლო მახლო საარტილერიო ბრძოლა მოხდა. ვოგეზებში ერთ ჩვენ სადარაჯოზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ ვერა გააწყეს რა.

**ჰავრი.** 24 ოქტომბერი, ბელგეთის ოფიციალი. მთელ ბრძოლის პირზე, ნიუპორტის სამხრეთით, დიქსმიუდეს ჩრდილოეთით და ბუსინგეს მიმართულებით ზარბაზნების სროლა იყო; ბუსინგესთან ხელის ყუმბარებით ბრძოლაც მოხდა.

**ადრიატიკის ზღვაზე**

**რომი.** 24 ოქტომბერი. იტალიის საამირბაროს ცნობა. 24 ღამეს იტალიელთა ტრანსპორტს ჯარი გადაყავდა. ავსტრიელთა წყალქვეშამ მისი დაღუპვა მოინდომა. ტრანსპორტს თან ახლდა ნაღმოსანი, რომელმაც წყალქვეშაზე იერიში მიიტანა. წყალქვეშაც და ნაღმოსანიც ორივე დაღუპა. ნაღმოსნის მეზღვაურები გადაარჩინეს იტალიელებმა წყალ-ქვეშას მეზღვაურთაგან დაატყვევეს 2 აფიცერი და 11 ჯარის კაცი.

24 ოქტომბერს სან ელპიანოს მიუახლოვდა ავსტრიელთა 3 კონტრ ნაღმოსანი და თუმცა ამ ქალაქში სიმაგრეები არ არის, მაგრამ მაინც სროლა აუტეხეს. მალე ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი მიუახლოვდა ნაპირს, ზარბაზნები დაუშინა მტრის გემებს და განდევნა. ერთი კონტრ ნაღმოსანი დავაზიანეთ და მეორეს კი რამდენიმე ყუმბარა მოხვდა. ჩვენი სადგური ოდნავ დაზიანდა.

**რუმინიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 25 ოქტომბერი. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან. ტრანსილვანიიდან ახალი ცნობები არ მიგვიღია. მდ. დუნაის ბრძოლის პირზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ბულ-

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** ბროდის სამხრეთ დასავლეთით ავსტრიელთა მზვერავი რაზმი მხნედ მოქმედებდენ. კირლი-ბაბას აღმოსავლეთით ბრძოლა მოხდა, რუსებმა ავსტრიელები დაამარცხეს. რუსებმა გაიმარჯვეს აგრეთვე დორნოვატრის სამხრეთით.

**კავკასიის ასპარეზი.** ბიჯარის მიმართულებით რუსებმა ოსმალთა წინსვლა შეაჩერეს და კილკიტის დასავლეთით სოფ. ამიური აიღეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** სომმაზე სენპიერვაასტის ტყესთან ფრანგები კვლავ წინ მიიწევენ. ბელგიელთა ბრძოლის პირზე და დოუმონთან საარტილერიო ბრძოლაა.

**იტალიის ასპარეზი.** გუშინ ცნობა არ მოსულა.

**რუმინიის ასპარეზი.** ტრანსილვანიიდან ცნობები შტაბს არ მიუღია.

**მაკედონიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**ზღვაზე.** ადრიატიკის ზღვაზე იტალიელთა ნაღმოსანი და ავსტრიელთა წყალ-ქვეშა ბრძოლის დროს დაღუპულან.

გარლები სისტემატიურად სწვავდენ რუმინელთა სოფლებს.

**მაკედონიის ასპარეზი.**

**კორფუ.** 24 ოქტომბერი. სერბეთის ოფიციალი 22 ოქტომბერს თოფის სროლა იყო. 23 ღამეს სოფ. გუდიმირცი პოლონოსთან მტერმა ორი იერიში მოიტანა, მაგრამ ადვილად მოვიგერიეთ- ჩვენ დავატყვევეთ გერმანელები და ბულგარლები: ცნობებია, რომ წრნაზე უკანასკნელ ბრძოლების დროს გერმანელები დიდათ დაზარალებულან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ამერიკული გაზეთები გვატყობინებენ, რომ ამერიკაში წყალ ქვეშა ნავი „ბრემენი" მისულა.

---

იგივე გაზეთი ამბობს, რომ ინგლისის დაღუპულ გემზე „კაბათიაზე" 32 კაცი აკლია და „მარინაზე" 18 კაცი.

---

იმავე გაზეთის სიტყვით შვეციის წყლებში, ზღვაში, დიდი გემი „ირმგარდი" დაღუპულა. იგი 6000 ტონს სიმძიმეს იღებდა.

---

გერმანიის წყალქვეშა ნავისგან საბერძნეთის გემის „ანგელიკას" დაღუპვას მთელ საბერძნეთში მუშათა დიდი გაფიცვა მოყოლია.

---

როგორც სტოკჰოლმიდან იტყობინებიან გენ. ჰინდებურგს საზღვაო ძალებსაც უქვემდებარებენ.

---

ათინაში მოკავშირეების წინააღმდეგ დემონსტრაციები კიდევ მოუხდენიათ. ამის გამო მოკავშირეებს გაუგზავნიათ ათინაში 240 მეზღვაური, რომელნიც ქალაქის თეატრში დაბინავებულან.

---

ვესტფალიის ყველა ქარხნებში გერმანელები ამ ჟამად ტყვიაწამალს ამზადებენ.

---

დუნაის მარცხენა ნაპირზე მდებარე რუმინელების ქალაქებს გამუდმებით თავს დასტრიალებენ ბულგარელთა საფრენები, მაგრამ ყუმბარებს არ ჰყრიან და დაზვერით კმაყოფილდებიან.

---

შტიურმერს ლლოიდ ჯორჯისათვის და გრეისთვის უცნობებია, რომ ის სრულიად ეთანხმება მათ და მომხრეა ომის ბოლომდის გაგრძელებისა, ვიდრე გერმანეთი სრულიად დაემხობოდეს და ისეთი მდგომარეობა შეიქნებოდეს, რომ შემდეგში ომი შეუძლებელი გახდებოდეს.

## სამხედრო მიმოხილვა.

გუშინდელმა დეპეშებმა მოგვიტანეს ცნობა ერთ პოლიტიკურ აქტის შესახებ. გერმანიისა და ავსტრიის რუსეთის პოლონეთისათვის სრული დამოუკიდებლობა მიუციათ.

ეს პოლიტიკური აქტი პირდაპირ ომთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

საქმე იმაშია, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას თვით გერმანელებისათვის აქვს მნიშვნელობა.

პოლონეთი ერთ მთლიან კომპაქტურ ძალას წარმოადგენს და რა დადგენილებასაც პოლონეთის ცენტრი დაადგება იმავე დადგენილებას მიიღებს მთელი პოლონეთი.

ამისთანა პირობებში პოლონელთა უმრავლესობის გულის მოგება ნიშნავს მთელი პოლონელების მიმხრობას.

პოლონელები დღეს დაახლოვებით 20 მილიონს შეადგენენ. ამ 20 მილიონს დიდი ძალი ჯარის მიცემა შეუძლია. ამ ომის განმავლობაში ჩვეულებრივი 10—15 პროცენტით რომ ვიანგარიშოთ ამ 20 მილიონ კაცს ორ მილიონიან ჯარის მიცემა შეუძლია. ამ რიცხვს უნდა გამოვაკლოთ ის ჯარი, რომელიც რუსეთმა უკვე მოიყვანა პოლონეთიდან. ასე რომ ეხლა პოლონეთს ერთ მილიონამდე ჯარის მიცემა კიდევ შეუძლია. გერმანეთის ჯარის რიცხვი, რომ ერთი მილიონით გაიზარდოს, ეჭვი არ არის მდგომარეობა ასპარეზებზე უფრო გართულდება განვითარებულ სამხედრო ტეხნიკის მქონე გერმანელებისთვის დიდ დახმარებას წარმოადგენს ეს ძალა, ეს კი საშუალებას აძლევს მათ კიდევ დიდ ხანს აწარმოვონ ძლიერი შეტევები. ამის გარდა სახეში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ პოლონეთს შეუძლია მისცეს გერმანეთს საკმაოდ დიდი ძალი, ჯარის ზურგს უკან საჭირო მუშა ხელი.

შვერელი.

## ქ. ქუთაისი, 27 ოქტომბერი.

ოცდაშვიდი ოქტომბერი მთელ საქართველოში საეროვნო დღესასწაულად უნდა იყოს გამოცხადებული, ვინაიდგან ამ დღეს დაიბადა უდიდესი ქართველი მეცხრამეტე საუკუნისა—ილია ჭავჭავაძე.

თითქოს ფიციც დავდეთ ყველას გვედღესასწაულნა ეს დღე, მაგრამ ამ შემოხვევაშიაც, როგორც ყოველთვის, უღალატეთ ჩვენ ფიცს და დღეს ქუთაისშიაც კი არ იმართება **ილიას საღამო** იმ ქუთაისში, რომელიც ყველგან და ყოველთვის მეთაურად სთვლის თავის თავს სხვა ქართველ ქალაქთა შორის!...

მიზეზი?

მიზეზი ჩვენი—ქართველობის—საერთო სიბეჩავე, საერთო გზააბნეულობაა.

ასის წლობით დამცირებულ-გაველანებულებს, ჯერ კიდევ ვერ მოგვიკრებია ძალ-ღონე ეროვნულ ღირებულებათა საჯაროდ გამოფენისათვის.

ასის წლობით დამფრთხალ-გათიშულებს ჯერ კიდევ ვიღაცას და რაღაცას იმედი გვაქვს, ჯერ კიდევ ხსნას და შველას, ამ სხვებისგან ველით და არ გვწამს ძლიერება ეროვნულად გაღვიძებული მასსისა...

ამას სჩიოდა ილია მთელ თავის სიცოცხლეში, ამას ვჩივით დღეს ჩვენც—მისი მოწაფენი, თუმცა სრული იმედი გვაქვს, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც შევიგნებთ ილიას დიად ღვაწლს და მისი ბუმბერაზობა დაჩრდილავს ყოველ გვარ პირად ჩვენს შეუგნებლობასა და შეუსმენლობას.

და მაშინ, იმ ნეტარ დროს, ილიას საღამოები ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულებად გადაიქცევიან.

## პოლონეთის განთავისუფლება.

პოლონეთის შინაური ცხოვრება ომის დაწყებამდე იმითა ხასიათდებოდა, რომ თავისებური, ეროვნული სული აჩნდა ყოველ ეროვნულ საქმეს. მიუხედავად იმისა რომ სამად დაფლეთილმა პოლონეთმა 150 წელიწადი დაჰყო მონობაში, მაინც შესძლო საკუთარ ენისა და ტერიტორიის დაცვა და უვნებლად შენახვა. თუმცა პოლონეთი სახელმწიფოებრივ უფლებით არ იყო აღჭურვილი, მაგრამ მაინც იღებდა ხოლმე იგი ხმას, როცა უცხონი მისი სიცოცხლის დედა ძარღვს შეეხებოდენ ხოლმე.

როცა კაცი რომელიმე პოლონურ ქალაქში შედიოდა, მას აკვირვებდა ის გარემოება, რომ გასაოცარის სიმტკიცით ჰქონდათ პოლონელებს დაცული პოლონური სული ყველგან.

წვრილმანებიდანაც კი, სჩანდა აშკარად რომ ამ ხალხს სურდა პოლონელებად დარჩენა და რომ იგი არავის შეალახვინებდა თავის ეროვნულ თავმოყვარეობას; ყველგან, საცა კი პოლონელები სცხოვრობდენ—პოლონური ენა ისმოდა, პოლონურად იწერებოდა სხვადასხვა ხასიათის და დანიშნულების ბარათები; უცხო ენას მხოლოდ მაშინ მოიხმარდენ ხოლმე, როდესაც მეტი გზა არა ჰქონდათ ხოლმე.

დიდი ნებისყოფა გამოიჩინეს პოლონელებმა ტერიტორიის საკითხში.

საქმე იმაშია, რომ [illegible] წლის წინად პოლონეთში [illegible] პირდაპირ ყოფნა არყოფნის საკითხი დაისვა. უფრო განვითარებულ კულტურის მქონე გერმანელები კალიასავით მოედვნენ პოლონელთა მოქეიფე თავად-აზნაურთა მამულებს და სულ გროშის ფასად იძენდნენ მათ. საქმე იქამდე მოვიდა, რომ მთელი სოფლები და მაზრებში გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში.

მაგრამ პოლონელებმა დროით აუღეს ალღო ამ საფრთხეს, ერთი პირი შეკრეს და ერთგვარი ფარული ბოიკოტი გამოუცხადეს არამც თუ მარტო გერმანელებს, არამედ ყველა უცხოელთ. ხოლო ისინი კი, ვინც უცხოელებთან საქმეს იჭერდა, გათიშეს. შეგნება იმისა, რომ პოლონეთი პოლონელების სამშობლო იყო და რომ მის შესანარჩუნებლად ბრძოლაში თვითეულ პოლონელს უნდა მიეღო მონაწილეობა, პოლონეთის არც ერთ შვილს არც ერთ წამს არ დავიწყებია. თავმოყვარე პოლონელს ბედნიერად მიაჩნდა თავი, თუ იგი დაიმსახურებდა სამშობლოსათვის მებრძოლის სახელს.

პოლონეთშიაც არსებობს პარტიობა და პარტიებს შორის დამოკიდებულებაც ძალიან არის გამწვავებული, მაგრამ პარტიათა შორის ქიშპსა და შუღლს არასდროს არ გამოუწვევია სამშობლოსადმი ღალატი ყოველ პოლონელს სოციალ-დემოკრატი იქნებოდა იგი, კოლოს წევრი, თუ სხვა რომელიმე პარტიის ან ჯგუფის მომხრე, მას მუდამ ახსოვდა, რომ იგი თავდაპირველად პოლონელი იყო.

ამა თუ იმ საქმეზე შეიძლება სხვადასხვა აზრისა და შეხედულებისანი ყოფილიყვნენ პოლონელები, მაგრამ, როცა საბრთხეში ვარდებოდა რომელიმე ეროვნული საქმე, მაშინ გასაოცარის ერთსულოვნობით გამოდიოდნენ ისინი თავის სამშობლოს დასაცავად.

პოლონელები მუდამ იმის ზრუნვაში იყვნენ, რომ შეენახათ მთლიანად თავისი მიწა-წყალი, დაეცვათ თავისი სარწმუნოება, ხალხში განემტკიცებინათ სამშობლო ენისადმი სიყვარული, გაევრცელებინათ სწავლა-განათლება და განევითარებინათ ვაჭრობა მრეწველობა და მეურნეობა.

იყო დრო, როდესაც რუსეთის ბიუროკრატიის უკუღმართ პოლიტიკის წყალობით პოლონელებს სახელებშიაც კი არ შეეძლოთ თავის სამშობლო ენაზე ლაპარაკი.

მაგრამ გული არ გაუტეხიათ პოლონელებს და მალე იმას მიაღწიეს, რომ ოფიციალ დაწესებულებებშიაც კი შემოიღეს პოლონური ენა და ამას პოლონელებმა მხოლოდ და მხოლოდ სულის სიმტკიცისა და სამშობლოსადმი სიყვარულით მიაღწიეს.

## ფუტურიზმი იტალიაში.

არ იფიქროთ მკითხველო, რომ მე აქ ფუტურისტები სწინაღმდეგ კრიტიკას ვწერდე. არც მე გახლავარ კრიტიკოსი და არც საგანია კრიტიკის ღირსი.

მე მსურს მხოლოდ საზოგადოების წინაშე რაოდენიმედ მაინც დავასურათო იტალიის ნიადაგი და ის გარემოებანი, რომელთაც იქ ფუტურიზმი წარმოშვეს. ფუტურიზმის სამშობლო ახლანდელი იტალიაა. ძველი იტალია და რომის იმპერია ვერ შეჰქმნიდა ფუტურიზმს. იგი ბურჟუაზიულ კაპიტალისტური წესწყობილების შვილია საინტერესო მხოლოდ ასაა, თუ რას წარმოადგენს ფუტურიზმი.

იტალიის განთავისუფლება და გაერთიანება 1870 წელში მოხდა, ათი წელიწადზე მეტი იგი კლერიკალთა მოგერებას და მასთან განწყობილების დამყარებას მოუნდა როდესაც იტალია დამშვიდდა და ცოტა ღონე მოიკრიფა, მას შურით თვალები აენთო: მეზობელ სახელმწიფოთ ვაჭრობა მრეწველობა აეყვავებინათ; აღებ მიცემობა გაეჩაღებინათ: ბურჟუაზიული ინტელეგენცია შეექმნათ, კოლონიები დაეპყრათ და ნაწარმოები საქონლით მსოფლიო ბაზარზე ერთმანეთს მეტოქობას უწევდენ. ამგვარმა სურათმა იტალიის ძარღვებიც აათრთოლა მასაც სიმდიდრის შოვნის მადა გაუხსნა, თვით საქონლისთვის ბაზრების ძებნას შეუდგა და ამისგამო პირველადვე აფრიკისკენ ყურება დაიწყო

1881 წელში ფრანგებმა ტუნისი დაიკავეს. იტალიასაც მასზე თურმე თვალი ეჭირა. როდესაც მან დაინახა თავის თავი პირში ჩალა გამოვლებული, შეწუხდა, ამან სამინისტროს დაცემა გამოიწვია და იტალიამ საფრანგეთს მეტოქის თვალით ცქერა დაუწო. ახალმა კაბინეთმა ფრანგების ჯინაზე მათ მტერს—გერმანიას დაუწყო ფერება. ამ შემთხვევით ბისმარკმა ისარგებლა და, როგორც ვიცით, სამთა კავშირი დაადასტურა.

ამ დროს მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი ინგლისის ვაჭრობას ეჭირა. გერმანიას გვიან დაურჩა მსოფლიო ბაზარზე საპატიო ადგილის დაკავება. 1840—1850 წ. მთელი ბაზრები და აღებ მიცემობა ინგლისელების, ფრანგების და ჰოლანდელების ხელში იყო გერმანიას ისღა დარჩენოდა, რომ საქონლის გაუმჯობესობით და სიაფით მათთვის მეტოქობა გაეწია.

აქედან იწყება მოუსვენარი შრომა და ცდა გერმანიის: იგი ავრცელებს კომერციულ და ტეხნიკურ სწავლას, ეხმარება ყველას ახალ მანქანების აწყობაში, ქარხნების დამყარებაში, ნედლი საქონელის შემოტანაში; სატამოჟნო გადასახადებს აწესრიგებს, მუშა ხალხს საშინლათ ავიწროებს, ბურჟუას ეხმარება და ყოველ გვარ საშვალებას აძლევს, რომ რაც შეიძლება კარგი და იაფი საქონელი შემუშავდეს, რომ მით მსოფლიო ბაზრის სიმპატია და სახელი მოიპოვოს. გერმანიამ კარგათ იცის, რომ ყოველი სიძნელე პირველშია; რაკი მისი საქონელი ერთხელვე სახელს გაითქვამს და ბაზარზე გამეფედება, მერე მისი დასუსტება ძრიელ გაძნელდება. მართლაც დიდმა და მუყაითმა შრომამ იქამდე მიახწია, რომ გერმანიამ მსოფლიო ბაზარზე დიდი სახელი მოიხვეჭა და აღებ-მიცემობაში გამაგრდა.

ეს დრო შესანიშნავია მით, რომ მუშათა კლასი გერმანიაში თითქმის მთელი ოცი წლის განმავლობაში დიდ სატანჯველს განიცდის, ბურჟუაზიამ საშინლათ შეაიწროვა მუშა ხელი, დაუზოგავათ ამუშავებდა მათ და ხელფასის მიცემაში რაც კი შეიძლება ეკონომიობდა ფაბრიკის და ზავოდის პატრონები ისე უხეშათ და უღიერათ ეპყრობოდენ მომუშავეთ, რომ 1860 წლებში მათგან საშინელი პროტესტი გამოიწვია. აქიდამ იწყება გერმანიაში მუშათა კლასის ერთმანეთში დაკავშირება, ერთმანეთის ინტერესით გამსჭვალვა და გაბატონებულ კლასთან შეგნებული მოძრაობის და ბრძოლის დაწყება, ამ სტიქიურ ძალის წინაშე ბურჟუაზია შედრკა, თავის მუშებს ფერება დაუწყო და მათ მდგომარეობის გაუმჯობესობას დაპირდა, მაგრამ გვიანღა იყო. მშრომელმა ხალხმა სოციალისტური დროშის აფრიალებით უპასუხა და ძმობა-ერთობაზე ქადაგება დაიწყო.

1883 წ. როდესაც გერმანიამ, იტალიამ და ავსტრიამ კავრიში შეკრეს, პირველი მათგანი ვაჭრობაში უკვე იყო გაძლიერებული: მას კოლონიები ჰქონდა, მსოფლიო ბაზარზე არა თუ სახელი ჰქონდა მოპოვებული არამედ ალაგ-ალაგ კიდეც ბრძანებლობდა ერთი სიტყვით, გერმანიამ სიმდიდრისკენ წინ სვლა დიდი ნაბიჯით დაიწყო; მექარხნეებმა მილიონები იშოვეს; ვაჭრობა და მრეწველობა აღორძინდა, ახალი ფლოტი ზღვებს და ოკიანებს მოედო. ამ დიდ კაპიტალისტურ წყობილების დასაცავათ გერმანიის ზღვასა და ხმელეთზე დიდი ჯარი დაჭირდა. აქიდამ იწყება მისი იმპერიალისტობა და მილიტარიზმი.

კავშირის შეკვრის შემდეგ იტალიამ გერმანიას ყველაფერში ბაძვა დაუწყო. იგი სცდილობდა თავის სამეფო მოკავშირე სახელმწიფოს დაემზგავსებინა. ამის გამო იტალიაშიაც ვაჭრობა და აღებ-მიცემობა აყვავდა. ქარხნები გაიხსნა, მანქანებმა და მატარებლებმა ზრიალი მორთეს, ერთი სიტყვით იტალიასაც დიდი სიცოცხლე დაეტყო, იგი სავაჭრო-სამრეწველო ქვეყანად გადიქცა.

უწინკი იტალია მიწის მომქმედ მხარეთ ითვლებოდა—იგი მეურნეობას მისდევდა. სამეფოს აღდგენის შემდეგ ლამაზი იტალია სიამოვნებაში განისვენებდა. ბუნებისაგან იგი დიდი პოეტიური ნიჭით იყო დაჯილდოებული; ყოველ ხელოვნებას: მუსიკას, სიმღერას, მხატვრობას, ქანდაკებას იტალიაში დიდი ადგილი ეჭირა და დაწინაურებული იყო. ქალაქები და სოფლები ერთმანეთს უკეთესობაში ეჯიბრებოდენ.

მისი მხატვრული ნაწარმოების სამშობლოთ ოთხი ქალაქი ითვლებოდა: რომი, მილანი, ვენეცია და ნიაპოლი. თითოეულ ამ ქალაქში მხატვრულ ნაწარმოებს თავის ელფერი ჰქონდა. ვენეცია უფრო ნემეცთა გემოვნებისკენ მიიწევდა, მილანი და ნეაპოლი უფრო ფრანგებს უახლოვდებოდენ; რომს კიდევ თავისებურობა ეტყობოდა, ნამეტურ საეკლესიო მხატვრობაში.

ყველა ამ ნიმუშების მოყვანა მისთვის დამჭირდა რომ გამეშუქებინა, რომ იტალია სავაჭრო-სამრეწველო მხარე არ ყოფილა; იგი იყო ხელოვნებათა სადგური: მუსიკას, მხატვრობას, ქანდაკებას სხვადასხვა დროში სხვადასხვა მიმართებულება აცხოველებდა. თითვეულ მათგანის სულის კვეთებას ძლიერი გავლენა ჰქონდა ხალხის მსოფლიო მხედველობაზე.

მე აქ არ შევუდგები მათ განხილვას თუ რანაირათ მიდიოდა წინ მიმართებულებათა პროცესი, მხოლოდ ვადასტურებ, რომ ყოველი დარგი მათი ხელოვნებისა დიდათ იყო ტეხნიკურათ განვითარებული. ეტყობოდა მათ ჩაფიქრება, საგნის შესწავლის სიღრმე, ხელოვნებათა მიმართულების შინაგან არსების გადმოცემა.

აი, როდესაც იტალიამ კაპიტალისტურ წყობილებაში შესცურა, და ხალხი მარტო ფულის შოვნას დაეძგერა, შემოქმედებათა ძალი შესუსტდა და ხელოვნებამ ახალი მიმართულება ვერ მისცა. სწორეთ ამ დროს ცხოვრების ტალღებმა სცენაზე გამოიყვანეს მარინეტი, რომელიც უარს ყოფს ყოველივე ხელოვნებას და ხალხს ახალ მიზნისკენ ეძახის. მისი აზრით ხელოვნებამ ცხოვრება მოჭამა, სამერმისოთ იგი უნდა გაუქმდესო, რადგან იგი ზარალის და დროს დაკარგვის მეტს არაფერს იძლევაო. ხელოვნება მისი აზრითვე კაცს მრუდე მსოფლიო-მხედველობას აძლევს, მის არსებას

იყო აგრეთვე დრო, როდესაც მთელი პოლონეთის ვაჭრობა მრეწველობის ხელში ჩაგდებას ებრაელები სცდილობდნენ, მაგრამ აქაც. როგორც სხვა საქმეში პოლონელებმა დიდი იერიშები მიიტანეს შემოსეულებზე. პირდაპირ ბოიკოტი გამოუცხადეს ებრაელ მექარხნეების ნაწარმოებთ და ებრაელების სავაჭროებში ფეხი აღარ შეუდგამთ.

ასეთია პოლონეთის დამოუკიდებულობისა და მთლიანობისათვის ბრძოლის მომენტები.

პოლონეთის მიერ დამოუკიდებულების მიღება იმას კი არ უნდა მოვაწეროთ ვითომ გერმანეთმა რუსეთის ჯიბრით მისცა მას შვება, როგორც ეს ბევრს ჰგონია; სრულებითაც არა!

პოლონეთი, მიუხედავად დანაწილებისა და 150 წლის მონობისა, იმდენად ძლიერი და მთლიანი დახვდა ომს, რომ ძალა-უნებურად მას ანგარიში გაუწია ორივე მებრძოლმა მხარემ. პოლონეთი ომის დაწყებისას საგრძნობ ძალას წარმოადგენდა და ვინც მის გულს მოიგებდა, 20 მილიონიანი პოლონეთიც მისი დამხმარე იქნებოდა.

ომის ჩარხი ისე დატრიალდა, რომ წლის თავზე მთელი პოლონეთი გერმანია-ავსტრიას ჩაუვარდა ხელთ და რასაკვირველია პოლონეთის ბედიც მათ უნდა გადაეწყვიტათ და რუსეთს არ მიეცა საშვალება გამოეჩინა თავისი განწყობილება პოლონეთისადმი, თუმცა მაშინდელი მთავარსარდალი რუსის ჯარისა თავის მანიფესტში პოლონეთისადმი დაჰპირდა მას ავტონომიას.

ასეა თუ ისე რუსეთის პოლონეთმა მიიღო დღეს სრული დამოუკიდებულება, გალიციას ავტონომია მიენიჭა და მხოლოდ პოზნანის ბედი და დარჩა გადაუწყვეტავი;

მაგრამ მიუხედავად ამისა საერთოდ პოლონელებისათვის დადგა ისეთი დრო, როდესაც თავისუფლად შეეძლებათ მათთვის სამშობლოს კეთილ დღეობისათვის მუშაობის გაგრძელება, თუ, რასაკვირველია, გადარჩნენ უვნებლად ამ შუმბერაზ ომის ცეცხლს.

ბ. კობახიძე.

—

P. S. საერთა შორისო დამოკიდებულების წესი ისეთია, რომ ყოველი, პოლონეთის მიერ თავისუფლების მიღების მაგვარი ფაქტი სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციამ უნდა დააკანონოს. ჯერ ომი არ გათავებულა და სასურველიც არის, რომ პოლონეთი ისევ რუსეთმა დაიბრუნოს, რაშიაც ჩვენ არა დროს ეჭვი არ გვეპარება, და მაშინ გერმანიის მიერ ბოძებული შვების ღრამოტა თავის თავად შეიცვლება იმ ავტონომიით, რომელსაც ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დიდი ხანია მათ დაჰპირდა.

ბ. ბ.

# ახალი ამბავი.

## დეპეშა.

**პეტროგრადი.** 25 ოქტომბერი რუსეთის იმპერიის თავადაზნაურთა სახელმწიფო საბჭოს წევრებად შემდეგი 3 პირი გაიყვანეს: თბილისის გუბერნიის წინამძღოლი თ-დი აბხაზი, სმოლენსკის მაზრის უფროსი გრაფი უვაროვი და სახელმწიფო საბჭოს ყოფილი წევრი გრაფი მუსინ პუშკინი.

—

ილია ჭავჭავაძის სალამოს მაგიერ, დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება კ. ფოცხვერაშვილის სიტყვა-მუსიკობა. ილიას ხსოვნის აღსანიშნავად დაიდგმება ცოცხალი სურათი, რომელიც გაშუქდება შესაფერი სიმღერა-მუსიკით. სამუსიკო განყოფილებაში შესრულდება რამდენიმე ნუმერი ილიას სიტყვებით.

თვით სიტყვა-მუსიკობაში აქამდის და სახელებუ— პიესების გარდა შესრულდება პირველად ქუთაისში: გოჩას არია. „თამარ ცბიერიდან“, ერეკლეს არია, „ლალატიდან“, „ნათელას სიმღერა, კ ფოცხვერაშვილისა, „ოროველა“, „მზევ შინა“ და სხვანი წარმოდგენას დაესწრებიან სამღვდელო პირნიც.

✦ პარასკევს, 28 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სალამოს რვა საათზე დანიშნულია საბჭოს სხდომა, ეს სხდომა უნდა შემდგარიყო ორშაბათს 24 ოქტომბერს, მაგრამ ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო კვლავ არ შესდგა.

✦ ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგემ გასინჯა ოჯახებში დამზადებული სარეცხი საპონი, რომელიც შედარებით კარგი ღირსების საპონთან უვარგისი გამოდგა. ამ საპონით სარგებლობენ ადგილობრივი ვაჭრები და კარგ საპონს მალავენ, ხოლო ამ უვარგის საპონს ძვირად ჰყიდიან, ამის გამო ლაბორატორიის გამგეს წინადადება შეაქვს ქალაქის გამგეობაში, რომელითაც მოითხოვს სახლში დამზადებულ საპონზე ნიხრის დაკლებას.

✦ ქუთაისის ქალაქის თავმა, შუამდგომლობა აღძრა თბილისის სასურსათო განყოფილების წინაშე, რათა ქალაქ ქუთაისის საჭიროებისათვის დაეთმო რამოდენიმე ვაგონი პურის ფქვილი, მაგრამ ეს შუამდგომლობა არ იქნა შეწყნარებული.

✦ ქალაქის გამგეობამ უკვე მიიღო 12 ვაგონი სამხრეთ კავკასიის სიმინდი, რომელსაც უნაწილებს ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივებს, მოელის კიდევ თვრამეტ ვაგონს რომელიც ამ დღეებში იქნება მიღებული და გაუნაწილდება აგრეთვე ქუთ. გუბ. კოოპერატივებს.

✦ ვინაიდან ადგ. ვაჭრები ზოგიერთ საქონელს ნიხრზე ზევით ჰყიდიან, ამის გამო ქალაქის გამგეობა აცხადებს რომ იმ პირმა, რომელსაც საქონელს ნიხრზე ზევით მიჰყიდიან, დაუყონებლივ განუცხადოს ეს ქალაქის გამგეობას.

✦ ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტისაგან, დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომმა, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელმა ა. მ. ვასილევსკიმ 26 ოქტომბერს ცნობა მიიღო, შესახებ იმისა, რომ 10 ნოემბერს, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს დარბაზში დანიშნულია კომიტეტის წევრთა კრება, რომლის მიზანია საუმჯობესო წესების გამომუშავება, რათა მეღვინეობა მევენახეობის საქმე სასურველ დონეზე იქნას დაყენებული ქუთაისის გუბერნიაში.

✦ სიმინდი „რეგულიატორის“ გამგეობა მოუწოდებს იმ კოოპერატივებს და საზოგადო დაწესებულებათ, რომელთაც სიმინდი ესაჭიროებათ დაუყონებლივ მიაწოდონ მას ცნობა საჭირო რაოდენობის შესახებ.

✦ მას შემდეგ ერთი წელია, რაც არავითარი ცნობა არ მოგვსვლია მის ჭირისუფლებს, ჯარის კაც სიკო ჯორბენაძის შესახებ, რომელიც მსახურებდა მე 53 დივიზიის 212 რომანოვის ქვეითა პოლკის 15 როტაში. ვსთხოვთ უმორჩილესად ყველას თუ ვინმემ იცის რამე ამის შესახებ გვაცნობოს შემდეგი ადრესით: Платформа на 35 вер. Батумскаго уч. з. ж. д. Лесiйскому потр. о-ву „Имеди“ კ. ჯორბენაძეს.

✦ 25 ოქტომბერს, ქალაქის სანიტარულმა კომისიამ, პუშკინის ქუჩაზე, სასტუმრო „ანგლიის“ პატრონ აქვსენტი გაბუნიას, სასტუმროს ბინძურად შენახვისათვის ოქმი შეუდგინა. ოქმი შეუდგინა აგრეთვე მიხეილის ქუჩაზე ძველი ტანისამოსით მოვაჭრე ბინიაშვილს, უდეზინფექციოთ ნახმარი ტანისამოსის გაყიდვისათვის.

✦ 25—26 ოქტომბერს ქალაქში ხოლერით ავათ არავინ გამხთარა.

✦ სტატისტიკური ცნობების მიხედვით ქუთაისის მაზრაში 84785 კომლი მცხოვრები ყოფილა. ოთხფეხი ყოფილა: კამეჩი 1104, ხარი 16234 სული.

—

### სოფლად და ქალაქად.

— დაბა ძველ სენაკში (სამეგრელო) გაიხსნა უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი.

— ბათუმში ფეხსაცმელების კრიზისია. ამის გამო ვაჭრებმა ის საგრძნობლად გააძვირეს, თუ სადმე იშოვნე ფეხსაცმელი საყიდლად, უნდა გადაიხადო 45 მ.—50 მ.

— სოფ. ჯუმათში (გურია) საქონლის ჭირი გაჩნდა, რომელიც მუსრს ავლებს საქონელს. საჭიროა დახმარება, ვისგანაც ჯერ არს.

— თელავში შემნახველ გამსესხებელ ამხ. მალაზიიდან 300 მან. ტყავეულობა მოიპარეს.

— ს. თოდლაურში (თელავის მაზრა) ლ. კუშიტაშვილმა თავის მეზობელ ალ. კუშიტაშვილს კეტით მოუკლა ორი გოგო. ერთი 7 წლის, მეორე 13 წლის და მიიმალა.

— სოფ. ხხენიში, 16 ოქტომბერს ებრაელებს, აბრამ დავითიშვილს და ისხაკ მოშიაშვილს თავს დაესხენ სამი შეიარაღებული ავაზაკები და წაართვეს პირველს 15 მან. ხოლო მეორეს 45 მ. და უგზოუკვლოთ მიიმალენ.

—სოფელ სპრასიაში (ქუთ. მაზრა) 16 ოქტ. ჩხუბის დროს ალ. გიორგაძემ და ლარვენტი ხურციძემ მძიმედ დასჭრეს ვასილ გიორგაძე, რომელიც მეორე დღეს გარდაიცვალა.

— ს. გურნაში (ქუთ. მაზრა) 17 ოქტომბერს მოსე კაკუშაძემ, ვანო, სერაფიონ და გაიანე ლომთაძეებმა თავს დაესხენ ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხს ევგენი გაბადაძეს და წაართვეს 75 მანეთი.

# პოლონეთის სამეფოს აღდგენა

(პეტრ. დეპ. სააგენტოსაგან)

**სტოკჰოლმი.** ვენიდან იტყობინებიან: 17 ღვინობისთვეს გარეშე საქმეთა მინისტრმა ბურიანმა ბერლინიდან ჩამოსული პოლონეთა დეპუტაცია მიიღო, რომელთა შორის იყვნენ: ვარშავის უნივერსიტეტის რექტორი ბრუდინსკი, ქალაქის მოურავი ხმელევსკი, ებრაელთა წარმომადგენელი ლიკშტეინი, სათათბიროს ნადეპუტატარი ლემპიცკი და სხვანი. ბურიანმა განუცხადა: ორივ მოკავშირე სახელმწიფომ (ავსტრიამ და გერმანეთმა) გადასწყვიტა პოლონეთის აღდგენა, რომელიც მჭიდროდ იქნება შეკავშირებული ცენტრალ სახელმწიფოთა სამხედრო და საპოლიტიკო საქმეებში.

18 ღვინობისთვეს, დეპუტაცია ვარშავაში დაბრუნდა. ხოლო 23 ღვინობისთვეს, ვარშავის გერმანელმა გენერალ გუბერნატორმა, გერმანეთისა და ავსტრიის იმპერატორთა აქტი გამოუცხადა, რომლის ძალითაც რუსეთის ვისლის ნაპირის გუბერნიები, რომლებიც ეხლა გერმანელებს უპყრიათ, აღიარებულია მონარქიულ მმართველობით აღდგენილ სახელმწიფოდ, რომელსაც მემკვიდრეობითი უფლება ენიჭება. ავსტრიისა და გერმანეთის პოლონეთზე არაფერია ნათქვამი; თუმცა აღნიშნულია, რომ ეხლავე შეუდგებიან ჯარში გაყვანას და რუსეთის პოლონეთში შეკრებილი ჯარი, ჩაირიცხება ცენტრალ სახელმწიფოთა ჯარში.

**სტოკჰოლმი** ბერლიდან იტყობინებიან: დღეს ვარშავის გერმანელებმა გენერალ-გუბერნატორმა, გენერალმა ფონ-ბეზელერმა მცხოვრებთ გამოუცხადა აქტი, რომელშიც შემდეგია მოთავსებული: „გერმანეთის იმპერატორი, ავსტრიის იმპერატორი და უნგრეთის მეფე, ღრმად დარწმუნებულნი ჩვენი იარაღის გამარჯვებაში და აღფრთოვანებულნი პოლონეთის ბედნიერ მომავლის სურვილით პოლონეთის იმ ოლქებისა, რომლებიც ჩვენმა მამაცმა ჯარმა მძიმე მსხვერპლის განწირვით რუსეთის სახელმწიფოს წაართვა,— შევთანხმდით, რომ ამ ოლქებიდან დამოუკიდებელი სახელმწიფო შევქმნათ მემკვიდრეობითი მონარქიული მმართველობით და საკონსტიტუციო წესწყობილებით. სამეფოს უფრო ზედმიწევნით მიჯნებს მომავალში განვსაზღვრავთ. ახალი სამეფო, რომელიც მჭიდროდ ეკვრის ორივ სახელმწიფოს, ამაშივე ჰპოვებს თავდებობას თავის ძალთა თავისუფალ განვითარებისათვის. საკუთარი ჯარის ყოლა პოლონეთის სახელოვან ჯარის ძველი ტრადიციებისა და ეხლანდელ ომში პოლონელ მეომართა სიმამაცის ხსოვნის თანახმად გადასწყდება. მოკავშირე მონარქიები სრულის რწმენით იმედოვნებენ, რომ მათი სურვილი პოლენეთის სახელმწიფოებრივ და ეროვნულ განვითარებისა ეხლაც განხორციელდება, როგორც კეთილდღეობისა ისე თავის საკუთარ ქვეყნებისა და ერების უშიშრობის მხრივაც. პოლონეთის სამეფოს დასავლეთის დიდი მეზობელი სახელმწიფოები სიხარულით დაუწყებენ ცქერას თავის აღმოსავლეთის საზღვრებისაკენ მდებარე თავისუფალ სახელმწიფოს კეთილდღეობის ზრდასა და აყვავებას.

ამისთანავე მოწოდება [illegible] ლიუბლინში ავსტრია-უნგრეთის გენერალ-გუბერნატორმა ფელდ[illegible] [illegible]მა.

**სტოკჰოლმი.** ვენიდან იტყობინებიან: ავსტრიის იმპერატორმა მინისტრ-პრეზიდენტს შემდეგი რესკრიპტი გაუგზავნა: „ჩემს და გერმანეთის იმპერატორს შორის მომხდარი შეთანხმებით, პოლონეთის ოლქებიდან, რომელიც ჩვენმა ჯარმა რუსეთის მფლობელობას ჩამოაცალა, არსდება დამოუკიდებელი სახელმწიფო მემკვიდრეობითის მეფით და საკონსტიტუციო მართველობით. გალიციამ ამ ომის დროს ბევრი მსხვერპლი გასწირა, რისთვისაც ჩემი უმხურვალესი მომობრივი მზრუნველობა დაიმსხურა. ამისათვის მსურს, რომ ეხლავ, როდესაც რუსეთის გუბერნიებიდან ახალი სახელმწიფო არსდება, გალიციას მიენიჭოს ადგილობრივ თვითმართველობის უფლება იმ ფარგლებში, რომელნიც შეეფერება ავსტრიის მონარქიას. ამ უკანასკნელის მთლიანობასა და განვითარებაში გალიციის მოსახლეობა ჰპოვებს თავის ეროვნულ და ეკონომიურ განვითარების თავდებობას“. იმპერატორი კარბერს ანდობს სათანადო პროექტის შემუშავებას, რათა კანონიერის გზით განხორციელდეს მისი სურვილი.

**სტოკჰოლმი.** აქ საყოველთაო გულისყურს იპყრობს ის გარემოება, რომ პოლონეთის მიმართ მანიფესტს ხელს აწერს გერმანეთის გენერალ-გუბერნატორი. მაშასადამე, მანიფესტი გერმანეთის სამოქალაქო მმართველობის უბრალო ადმინისტრატიული ბრძანება არისო.

**პარიზი.** გაზეთები ერთხმად ბრაზობენ ავსტრია-გერმანეთის მიერ ჩადენილ ახალ დანაშაულობის გამო, რომლითაც პოლონეთის სამეფოს აღდგენით დაპყრობილ ადგილებში ახალი ჯარის მოკრება ჰსურთ.

**ციურიხი.** შვეიცარიაში მყოფ მოკავშირეთა მომხრე პოლონელების აზრით, ცენტრალ სახელმწიფოთა მიერ პოლონეთის სამეფოს აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ ჯარისკაცთა ნაკლებულობით არის გამოწვეული.

**პარიზი.** გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რომ პოლონეთის სამეფოს აღდგენა დიდი უსამართლობაა, რადგანაც ცბიერს დაპირებაში იფარება ახალი დანაშაული, სახელდობრ, დაპყრობილ ქვეყანაში, იძულებითი მოკრეფა ჯარისკაცებისა „ტან“ი სწერს: ავსტრია-გერმანეთის ცბიერება არასოდეს არ წასულა ასე შორს, ავსტრია-გერმანეთის ცინიზმი არასოდეს არ გამომჟღავნებულა ასეთის ჟუნამუსო სახით. „თავისუფლებისა“ და „ავტონომიის“ ლიტონ სიტყვებთან ერთად, ისინი ავალებენ მათ თავის სამსახურს, ახალი სახელმწიფოს მიჯნებსაც არ უსახელებენ და ამ თავითვე აკისრებენ ჯარისკაცთა მიცემას, რომელნიც მათს განკარგულებაში იქნებიან. პრუსიის ნახევარი პოლონეთიდან შესდგება, პოლონეთის ერი არაფერს არ უნდა გამოელოდეს გამარჯვებულ პრუსიისაგან, რადგანაც პოლონეთის სამეფოს აღდგენა პრუსიის ძლიერებას დაასუსტებდა.

# ქ. ქუთაისის სანიტარული მდგომარეობა.

საზოგადოდ ცნობილია, რომ რამდენადაც ამა თუ იმ ქალაქს სანიტარული მხარე რიგიანათ აქვს დაყენებული, იმდენად მცხოვრებთა ჯანმრთელობა უზრუნველყოფილია. და ამიტომ ყველა ქალაქის ბატონ-პატრონი ამ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევს, რისთვისაც აარსებენ სანიტარულ რაზმებს ექიმის ხელმძღვანელობით და გაჰყავთ ქალაქში კანალიზაცია, რომელიც აუცილებელი და უსაჭიროესი საშუალებაა ქალაქის სისუფთავისათვის.

ქუთაისში კი დღემდის, როგორც ყოველივე დარგი მოქმედებისა, ესეც ახალ ხანას განიცდის აქამდის სანიტარული ექიმის მოვალეობა, სხვათა შორის დაკისრებული ჰქონდა, ქალაქის ერთ-ერთ თვითმართველობის მოსამსახურე—ექიმს,

---

ჩარჩოში აყენებს, თავისუფლებას ჰკვეცს- დღეიდან თავისუფლება უნდა აღორძინდესო, განახლება ძველ ტაძართა დარღვევას მოითხოვსო, ძირს ყველა ძველი: პოეზია, ხელოვნება, ლიტერატურა.

ამაში გამოიხატა იტალიელთა ფუტურიზმი. შემდეგ თავისუფლების ნიშნათ, მას ბევრი ქუჩური, მოედნური, ცირკული ლაზღანდარობა მოემატა; უსინიდისო და უპატიოსნო ლაპარაკიც ფუტურიზმის საგნათ აღიარეს.

აი სურათი თუ საითკენ მიაქანებს კაცს ცხოვრება, თუ იგი ერთხელ გადუდგა ჭეშმარიტებას და დალმართისკენ დაეშვა.

დაწვრილებით რომ განვიხილოთ იტალიის ცხოვრება, მასში ფუტურიზმის წარმოშობის მიზეზი დიდი თავის განდიდება იყო. იტალია გრძნობდა, რომ იგი თავის კანში ვეღარ ეტეოდა; მას რომის იმპერია ელანდებოდა; დიდი იტალიით ოცნებობდა; ამ ოცნებას ხელი შეუწყო ვაჭრობის აღორძინებამ: აღებ-მიცემობას ათეულათ მოემატა, ქარხნები გავრცელდა, ზღვა და ოკეანე სავაჭრო და სამხედრო ხომალდებით მოირთო, საქონელმა ბაზრები იშოვა. ამ უკანასკნელმა მდგომარეობამ ხალხი ფულის სიტკბოს მიაჩვია; ამის გამო მან თავის ხელოვნებათა ღმერთები სულ ძირს დაამხო, გაძლიერდა ოქროს კულტი, რამაც შობა „ფუტურიზმი“.

1911 წ. იტალიამ სათათრეთს ომი გამოუცხადა; ომი მოიგო და აფრიკაში ტრიპოლი შეიძინა. გამოჩდა ახალი კალონია ახალი ბაზრები, ახალი ვაჭრობის და მრეწველობის გაძლიერება. ბურჟუაზიულ მადას თან და თან მოემატა—ახალი სურვილები აღძრა. ერთი სიტყვით სრული იმპერიალისტური აზროვანება შეიჭრა იტალიაში და მილიტარიზმი გამეფდა.

ამ დროს იტალიის საზოგადოების ვერანდაზე გამოდის ახალი ფუტურისტი—პაოლო ბუცი, რომელსაც იტალიის დიდი მწერალი ანუნციოც მიემხრო. პაოლო ბუცი კაპიტალისტურ წესწყობილებას დიდ ყურადღებას აძლევდა; მის განვითარებას შესასწავლათ მან მთელი გერმანია მოიარა, საქმეს ყველგან დიდი დაკვირვებით ეპყრობოდა და შემდეგ თავის ოცნება სულ თავის სამშობლოს დიდებას შესწირა. იტალიაში ქალაქიდამ ქალაქში ლექციებს კითხულობდა და მსმენელს უხატავდა მოსალოდნელ ზეკაცს: ლექტორის სიტყვით მას უნდა გადაელახა ყოველი წარსული, ფეხით უნდა გაექელა მას ყველა ეს, რითაც აქამდი მისი სამშობლო ამაყობდა—მშვიდობიანობა რწმენა, ხელოვნება და იგი ფუტურიზმს გაამეფებდა.

ბუცა ოცნებობს, რომ ფუტურიზმი იტალიაში გაძლიერდება, რასაც მისი აზრით, სამშობლოს დიდება და პატივი მოჰყვება.

დაკითხვაზე, თუ საით მხარეს უნდა გაძლიერებულიყო იტალია, ბუცი უპასუხებს: ადრიატიის ზღვა სრული იტალიის კუთვნილება უნდა შექმნილიყო და იმ მიზნისთვის სამშობლო არავითარ ომს არ უნდა დარიდებოდა.

აი ბუცის სიტყვები: ვისაც დანა ჩანგლის ხმარება შეუძლია აიღეთ ხმალი; ვისაც ნადირობა შეუძლია შეცვალეთ მხეცზე ნადირობა კაცზე ნადირობით; შეეჩვიეთ ძველ სპარტის ცხოვრებას; მშვიდობიანობა დიდი უბედურებაა. იგი გმირების მაგიერ, საწყალს და ბოშა არსებას შობს, კაცის ენერგიას სწამლავს სიცოცხლეს ასუსტებს. ბედნიერება მტერთან შეტაკებაა, სისხლის ღვრა, თვით სისხლი კეთილსაყნოსავია.

იტალია უნდა აღორძინდეს. ამის თავდებია ქარხნები, ნახშირი, მანქანა, ელექტრონი, ზარბაზნები, სამხედრო და სავაჭრო გემები, ჰაეროპლანები. ყველა ეს ნიშნები დიდი იტალიის წინამორბედნი არიან.

ძირს წარსული! ვაშა ფუტურიზმი!

აი, რამ გამოიწვია იტალიაში ფუტურიზმი და რა ნიადაგზეა მისი შემადგენლობა. ზოგს ჰგონია რომ იგი ლიტერატურულ წარმოებათა ფორმაა. სრულიათაც არა—იგი ლიტერატურის უარყოფაა და არაფერი კავშირი არ უნდა ჰქონდეს მასთან.

ახლა შეადარეთ იტალიას ჩვენი სამშობლო და პაოლო ბუცის—ჩვენებური პაოლოები. შეიძლება, რომ ქართველ საზოგადოებას გააცნო იტალიელთა ფუტურიზმი თუგინდ თავის ქუჩური დამატებით, მაგრამ მისი გადმოტანა მთლათ ჩვენ ნიადაგზე—სასაცილოა.

ივლიტელი.

რომელსაც მცირე დრო ჰქონდა სანიტარული ექიმის მოვალეობაც შეესრულებია.

ეს ორი თვეა, რაც ქალაქის გამგეობამ, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, სანიტარულ ექიმის ადგილზე განსაკუთრებით მოიწვია ქ. სოხუმიდან გამოცდილი ექიმი ბ ა. დ. მაჭავარიანი.

მოსვლისთანავე ბ-ნი მაჭავარიანი ენერგიულად შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას, შეადგინა მთელი შტატი სანიტარ-მეთვალყურეებისა, გაუნაწილა და ჩააბარა მათ უბნები და შრომის ასე განაწილების შემდეგ საქმე თავის კალაპოტში ჩადგა.

ამ ორი თვის განმავლობაში თითქმის მთელი ქალაქი ფეხით ჩამოიარა და მცხოვრებს შესაფერი დარიგება მისცა. აქამდის სხვადასხვა ადგილ ახსნილ მოვაჭრეების და მცხოვრებლების წინააღმდეგ (განურჩევლად თავიანთ მდგომარეობისა და წრისა) გაბედული ზომები მიიღო.

სამწუხაროდ ასეთ დროს ქალაქში იჩინა თავი ხოლერამ, რომლის მთელი სიმძიმე ისევ სანიტარულ ექიმს დააწვა თავს.

აქაც დიდი ენერგიით შეუდგა საქმეს, მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა, მოწოდებით მიმართა, რომ ნაჩვენები ზომები აუცილებლივ ეხმარათ, რათა ასეთ უბედურ დროს ხოლერა არ გავრცელებულიყო და სწორეთ ამას უნდა მიეწეროს, რომ ამ უკანასკნელ ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით მხოლოდ ერთი კაცი გახდა ავად და თუ ასე იქლო, იმედია, სრულიად მალე მოისპობა ეს ხალხის მუსრის გამვლები ავადმყოფობა.

და როდესაც ასეთი კეთილი, პატიოსნებით აღსავსე ადამიანი შრომობს, მის მაგიერ რომ მას დიდი პატივისცემით ვეპყრობოდეთ, ვიღაც ბიჭ-ქუჩები უსახელო მუქარის წერილებს უგზავნიან. პატივის ცემაც ასეთი უნდა! მაგრამ არა! საზოგადოების ყველა მოწინავე წევრი მადლიერი და მუდამ მფარველი იქნება კეთილისა და მუყაითი ადამიანებისა.

მაშ, უსურვებთ პატივცემულ ექიმს კვლავ უშიშრად განეგრძოს თავის მოვალეობის შესრულება ჩვენდა საკეთილდღეოდ.

ა. ნ.

## თეატრი და ხელოვნება.

### „ივანობის ღამე“.

(შთაბეჭდილებანი).

თუ კი „ხელოვნება აღფრთოვანებაა, თავის თავის დავიწყება, სხვისი სიყვარულით და მწუხარებით გატაცებაა“.

თუ კი „სამხატვრო თეატრი ის არის, სადაც კაცი სხვისი სიხარულით, მწუხარებით, გაჭირებით და ტანჯვით არის გატაცებული; სადაც სცენაზე ხელოვნური თამაშობის ზე-გავლენით, გავიწყდებათ ის სავარძელი, რომელზედაც ზიხართ;

სადაც ადამიანის ადამიანისადმი თანაგრძნობაა; სადაც კაცის პიროვნების ირგვლივ შემოვლებული გალავანი ჩანგრეულა და კაცი სხვებთან ერთად ერთის ფიქრით, ერთის აზრით, ერთის მისწრაფებით, სიხარულით და მწუხარებით არის გამსჭვალული“ და თუ მოვიგონებთ „ივანობის ღამეს“ ქუთაისის სცენაზე დადგმულს ოც ამ თვეს, ჩვენა გვგონია ვპოვოთ ბევრი ისეთი რამ რაც ყველა აქ ჩამოთვლილ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს.

ოც ამ თვეს „ივანობის ღამის“ წარმოდგენის დროს, ეროვნული სცენის ქურუმთა (ნ. ჩხეიძის ქალისა და ალ. იმედაშვილის) წყალობით, მთელის ჩვენის არსებით ვიგრძენით თუ რა მნიშვნელობა აქვს სცენაზე წინადახედულ, ნიჭიერ ხელოვნურ, თამაშს.

დიახ, ნ. ჩხეიძის ქალმა და ალ. იმედაშვილმა თავიანთი ხელოვნური თამაშით, რომელსაც რასაკვირველია ხელს უწყობდენ მ მღივანი, კორიშელი, მორისიძე და სხვა, აღგვაფრთოვანა; დაგვავიწყა ის სავარძელი, რომელზედაც ჩვენ ვისხედით და თავიანთი ტანჯვით, მწუხარებით-სულიერი დრამით, წარმოდგენის დაწყებიდანვე გაგვიტაცა, მოგვაჯადოვა, აგვაცრემლა.

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს კიდეც, განსაკუთრებით იმ რეცენზიების შემდეგ, რომელიც დაიწერა ქუთაისის დასის შესახებ ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისშივე; ჩვენი ასეთი აღფრთოვანება, მაგრამ ეს გაკვირვება, გაკვირვებათ დარჩება და მას არავითარი ფასი არ ექნება ჩვენთვის.

მით უმეტეს სცენაზე სიტყვას შლიდა ისეთი ვინმე, როგორიც ნინო ჩხეიძის ქალია ობოლო ეროვნული სცენისათვის, და რომელსაც ამ სცენამ უკვე გადასცა პირველობის გვირგვინი.

შეიძლება არ დაიჯეროთ?

მაშ მოიგონეთ სცენები წამებულ მარიკასი და სულიერი დრამა მეოსი (ალ. იმედაშვ ) და დამეთანხმებით ჩემს აღტაცებაში; მოიგონეთ მესამე მოქმედება ამ პიესისა, მოიგონეთ წამება, ტანჯვა სული მარიკასი (ნ. ჩხეიძის ქალი) რომლის წინა სდგას დედა, მაგრამ იცით როგორი დედა? ის დედა რომელიც ცხოვრებამ მათხოვრათ, მაწანწალად გახადა და თქვენ წარმოიდგინეთ ლოთათ და ქურდადაც კი აქცია სწორეთ აქ, ამ ადგილზე ნ. ჩხეიძის ქალმა ხელოვნურ თამაშის იპოდეას მიაღწია და ნათლათ გადმოგვცა ყოველივე ის, რაც აუცილებლად უნდა გადმოეცა.

ანდა კიდევ უკანასკნელი მოქმედება, როდესაც მარიკა ამდენი ტანჯვისა და წამების შემდეგ კვლავ ობლათ რჩება; როდესაც ვერ მიიპარა ის რაც უნდა მოეპარა; ამდენი ცდის შემდეგ ვერ წაიყვანა თავის საყვარელი გეო შორს, მიუვალ ადგილზე, სადაც იცხოვრებდენ ორნივე ერთად, ბედნიერათ, ის კვლავ ეული რჩება და აყოლებს თავის ნაწამებ თვალებს და აღებს ახლად ჯვარ დასაწერათ მიმავალთ.

დიახ, სწორეთ ამ ორ მოქმედებაში ნათლათ დავინახეთ ნიჭი ხელოვან ნ. ჩხეიძის ქალისა. კარგი იყო სცენა მესამე მოქმედებისა—ივანობის ღამე.

ვაშა ქართველ ხელოვანთ!

დ.

## პროვინციის ცხოვრება.

**სადგური ნატანები** (გურია). აგერ რამდენიმე თვეა, რაც სადგურ ნატანებში დაარსდა კოოპერატიული საზოგადოება. ვიდრე კოოპერაცია გაიხსნებოდა, ხალხი აქ ძლიერ შეწუხებული იყო. კერძო ფურნეებში გამოცხობილი პური მეტის მეტი ცომი და მასთან ბინძური ნაკეთები იყო. ამიტომ კოოპერაციის დაარსებას ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა. მის გასაძლიერებლათ მასში ყველამ თავისი წვლილი შეიტანა და წევრებიც შიგ ბლომათ ჩაეწერა. კოოპერაციაც პირველ ხანებში ხალხს კარგ გამომცხვარ პურს აწვდიდა.

ხალხიც მას ბლომათ მიეტანა, კერძო ფურნეები დაიხურა, რადგან კოოპერაცია მას უკეთეს ხარისხის პურს, უკეთეს გამომცხვარს, კაპიკ ნაკლებ აძლევდა. მაგრამ ხალხს ასეთ პირველ სიმპატიას კოოპერაციისადმი თანდათან ფრთა შეეკვეცა, რადგან კოოპერაციაში ფეხი უსამართლობამ მოიკიდა. იგი ეხლა უმეტესათ მიკეტილია, რადგან პურს გადებისთანავე აქაურ მიკიტნებზე ერთად ყიდიან და ხალხიც იძულებულია ნაყიდის ნაყიდი პური მიკიტნებისაგან იყიდოს უფრო, რასაკვირველია, ზე მეტ ფასში. პურიც ამ უკანასკნელ ხანებში თითქმის სისტემატიურად ცხობა ნაკლები და ხალხიც მისდამი ამის გამო გულგრილობას იჩენს. კარგი იქნება კოოპერაციის გამგეობა უფრო მეტ უნარს და ენერგიას გამოიჩენდეს კოოპერაციისადმი და ეცდებოდეს, რომ ხალხის ნდობას არ დაკარგავდეს.

სოფლელი.

—

**ს. ჭრებალო** (ლეჩხუმის მაზრა). ეს სოფელი სწორედ რაჭა ლეჩხუმის საზღვარზე ძევს. პატარა მდინარე „ასკი“ რომელიც გვერდზე ჩამოუვლის ყოფს ორ მაზრას რაჭას ლეჩხუმიდან. თვით ჭრებალო 8—10 წლის წინათ უმნიშვნელო იყო. სულ ორი-სამი დუქანი იყო.

ახლა ოთმოცზედაც მეტი სხვადასხვა სავაჭრო დუქნები არსებობს. დაარსდა რამოდენიმე კულტურული დაწესებულებანი: სამკითხველო კოოპერატივი, საკრედიტო ამხანაგობა, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და აფთიაქი, ორი წლის წინათ გაიხსნა სამინისტრო შკოლა.

ჭრებალოს ზრდას ყურადღება მიაქცია რაჭა ლეჩხუმის ოთხი დიდი საზოგადოების მცხოვრებლებმაც, რომელთათვისაც ჭრებალო ნამდვილი საშუალო ადგილია.

ოთხმავე საზოგადოებამ ჭყვიშის, ხვანჭკარის, პატარა ონის და ცახისამ დაადგინეს განაჩენი ჭრებალოში უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ თავის ერთდროული დახმარების გამოღების ვალდებულობით. თვით ჭრებალოელებმა შკოლისათვის ადგილი და ათასი მანეთი ფულად ივალდებულეს.

იმედი გვაქვს ხსენებული სასწავლებელი დაარსდება თუ მთავრობამ სათანადო დახმარება გაგვიწია.

ამ რამოდენიმე თვის წინათ ი-დ შოთადიანოსის ძე გელოვანის თავმჯდომარეობით შესდგა დამფუძნებელი კრება ქართ საქ. საზ. რაჭა-ლეჩხუმის განყოფილების დასაარსებლათ. ხსენებული განყოფილება დაარსდა და შეუდგა მოქმედებას. ფრიად საჭიროა რომ ამ საზოგადოებაში ჩაეწერნენ ყველა შეგნებული პირები და ხელი შეუწყონ სახალხო საქმეს.

გ—იანი

## რუსეთი.

„რუსკია ვედომოსტი„ სწერს, რომ სამარის გუბერნიის ერობა დიდ გაჭირვებას განიცდის: საერობო შკოლებში მას წავლებლები არ ჩერდებიან, რადგანაც ამ სიძვირეში 40 მანეთი ჯამაგირი მათ ვერ უზრუნველ ჰყოფს.

—

იმავე გაზეთს სიმფეროპოლიდან ატყობინებენ, რომ ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლე თავს ველარართმევს საქმეებს სახლის პატრონების დიდძალი საჩივრებისაგან ბინის დაცლის შესახებ.

—

ამავე გაზეთს საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს ადესიდან, რომ იქაურ გენერალ გუბერნატორს ბძანება გამოუცია: 3000 მანეთი ჯარიმა გამო ერთმევა ან სამი თვით დატუსაღდება ყველა ის პირი, რომელიც ამ დიდი ომის დროს კლუბებში და სხვა საზოგადო დარბაზებში იცეკვავსო.

—

„დენ—ი“ სწერს, რომ სასურსათო საქმის მთავარ გამგე გრაფ ბობრინსკის მოსკოვის გრადონაჩალნიკისთვის მიუწერია, რომ ახალი აქციზის მომატება შაქარზე ფუთზე 2 მანეთი და 80 კაპ., ამ წლის 20 წითობისთვიდან უნდა დაიწყეს.

—

ყაზანის უნივერსიტეტში მაჰმადიანთა უფლებაზე ლექციის კითხვა შემოიღეს პროფესორათ არაბი—გვარათ ჯუზი დანიშნეს.

## უცხოეთი.

ნორვეგიის და გერმანიის შუა დამოკიდებულების გამწვავების მიზეზი გერმანიის წყალქვეშა ნავები ყოფილა შედარებით ნორვეგიამ მოკავშირეთა სახელმწიფოთ კარგი პასუხი მისცა, თუმცა ყველა მოკავშირეთა მოთხოვნილების შესრულება ვერ იკისრა. კომერციულ წყალქვეშა ნავებს ნორვეგია იმ შემთხვევაში აძლევდა ნებას თავის წყლებში შესვლისას თუ ისინი წყალში სრულიად დაფარული იქნებოდენ.

—

უკანასკნელ დროში გერმანიის წყალქვეშა ნავები თავისუფლად დარეშობდენ ნორვეგიის წყლებში და ხშირად მათ სავაჭრო გემებსაც ეცემოდენ ორი თვის განმავლობაში, როგორც გაზეთი „დენი“ მოგვითხრობს, მათ ნორვეგიას ორმოც და ათი გემი დაუღუპეს. სიმძიმის ატანით ისინი 80 ათას ტონს უდრიდენ.

—

ბაზელიდან „რუსკი ვედომოსტს“ ატყობინებენ; შვეიცარიის სავაჭრო—სამრეწველო წრეებში დადის ხმა, ვითომ გერმანიას სურდეს იქაურ ქარხნებში სამხედრო იარაღები შეუკვეთოს. ამაზე ფრანგული გაზეთებიც ახმაურდენ. გერმანია ფიქრობს შვეიცარიის ქარხნებში მოაწყოს იარაღის და ტყვია—წამლის დამზადება, რადგანაც იქაურ ქარხნებს დახელოვნებული ინგლისელები მართავენ. გერმანიაში კი მცოდნე პირები ომში გაიყვანეს.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ექიმს აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძეს, რომელმაც, კეთილ ინება და შემოსწირა სოფ. ჭილოვანის სამრევლო სკოლას ასოცდახუთმეტი მანეთი თავისის დის ქრისტინას ხსოვნის აღსანიშნავათ.

ჭილოვანის მკვიდრთა მონდომილობით მასწავლებელი ამავე სკოლისა ნიკ. ტყემალაძე.

რედაქტორი **ი. ციწაძე.**

გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

ექიმმა **ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101.

### დავკარგე პასპორტი

უვადო სოფელ ტყიბულში

**სპირიდონ მარკოზის ძე ბოჭორიშვილის სახელზე**

მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს სოფელ ტყიბულში **მიხეილ კბილაძის** სახელზე რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

### მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ხემგანვე ასად განთქმული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით.

### გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს სასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ



### რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | — [illegible] ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 18 „ |

## სუსუნაგი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნაგის** წამლით პირველ ხარისხოვანი „**გონოზანით**“ ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნაგს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნაგის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია**: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უბარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეშხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, **სავსებით** ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოის ქუჩის.

Р Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3

## ავათმყოფნი სუსუნაგით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნაგისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნაგის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნაგისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნაგისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)



ეროვნული ბიბლიოთეკა